# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება #01/73

ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში
**გამარტივებული შესყიდვა**

ქ. თბილისი 24 იანვარი 2013 წელი

ერთის მხრივ,
**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო**
წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის - **გრიგოლ გიორგაძის** სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის ნომერი: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,
**შპს „ავერსი-ფარმა"**
მის: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზ. N148/2,
ტელეფონი: (995 32) 225 00 66
წარმოდგენილი გენერალური დირექტორის - **ირაკლი ფურცელაძის** სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: 211386695,
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი",
ბანკის კოდი: BAGAGE22,
IBAN: GE06BG0000000122932100
(შემდგომში „მიმწოდებელი")

*ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტი და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის N2048 განკარგულება.*

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**
   ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ბაზრის კვლევის შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

2.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

- <u>მედიკამენტების შესყიდვა;</u>
- <u>CPV კოდი: 33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები;</u>

2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია **ფასების ცხრილში - დანართი N1,** რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

**3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება**

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს - **3264,53 ლარს ( სამი ათას ორას სამოცდაოთხი ლარი და 53 თეთრი);**

3.3 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები მოცემულია **დანართში N1 - ფასების ცხრილი;**

3.4 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში;

3.5 დაფინანსების წყარო: 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;

3.6 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

3.7 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტისა და საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დაკუმენტაციის საფუძველზე, **30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.**

**4. საქონლის მიწოდების პირობები და ვარგისიანობის ვადა**

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ - **10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;**

4.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, **რუსთავის გზატკეცილი მე_17 კილომეტრი.**

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის **4.2 ქვეპუნქტში** მითითებულ მისამართებზე მიტანა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან საკუთრების უფლება გადადის შემსყიდველზე.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად, ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი;

4.5 მიწოდებულ საქონელზე ვარგისიანობის ვადა უნდა შეადგენდეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან საერთო ვარგისიანობის ვადის არანაკლებ 70%-ს.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (სასაქონლო ზედნადების გამოწერით). საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტითა და შესაბამისი სასაქონლო ზედნადების გამოწერით, რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხიმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის გაფორმების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

5.2 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებას აწარმოებს სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო ანალიზის, კონტროლისა და მომარაგების სამმართველოს უფროსი - **გიორგი ფრუიძე.**

**6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვარგისიანობის ვადის პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად;

6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებიდან 3 (სამი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება;

6.3 შემსყიდველი მხრიდან კონტროლს განახორციელებს სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო ანალიზის, კონტროლისა და მომარაგების სამმართველოს უფროსი - **გიორგი ფრუიძე.**

**7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე პირს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო დამრღვევი მხარე ვალდებულია განახორციელოს პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.1.1 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.1.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

10.2.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.2.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10.2.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.3 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის irgvliv.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**13. ხელშეკრულების ენა და შეტყობინება**

13.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

13.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან“;

13.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელ. ფოსტის სახით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების გაგზავნიდან მე-3 დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დგება.

**14. გადასახადები და დაბეგვრა**

14.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

**16. სხვა პირობები**

16.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო | შპს „ავერსი-ფარმა“ |
| გრიგოლ გიორგაძე | ირაკლი ფურცელაძე |

დანართი N1

2013 წლის 24 იანვრის N01/73 ხელშეკრულებასთან

# ფასების ცხრილი

| N | CPV კოდი | დასახელება | განზ. | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 33622000 | დოქსიჰემი 500მგ #30 | კოლოფი | 1 | 5.4300 | **5.43** |
| 2 | 33690000 | დეკარისი 150მგ #1 | კოლოფი | 12 | 2.2500 | **27.00** |
| 3 | 33622000 | სტატიკორი 10მგ #30 | კოლოფი | 3 | 9.3000 | **27.90** |
| 4 | 33622000 | ცისტონი #100 | კოლოფი | 1 | 13.5000 | **13.50** |
| 5 | 33612000 | ნექსიუმი 40მგ #14 | კოლოფი | 2 | 15.2900 | **30.58** |
| 6 | 33651100 | ლაზოლექსი 10% 12გ გელი | ტუბი | 2 | 12.9200 | **25.84** |
| 7 | 33690000 | ლაკალუტი აქტივი 300მლ სავლები | ფლაკონი | 1 | 6.2100 | **6.21** |
| 8 | 33612000 | ჰეპატო-რიცი #50 | კაფსულა | 3 | 15.6000 | **46.80** |
| 9 | 33631000 | ნიზორალი 2% 15გ კრემი | ტუბი | 1 | 7.4200 | **7.42** |
| 10 | 33612000 | ფოსფოლუგელი 16გ #20 პაკეტი | კოლოფი | 5 | 8.6200 | **43.10** |
| 11 | 33690000 | ბრილიუმ ლინგვატაბსი #20 | კოლოფი | 2 | 4.1700 | **8.34** |
| 12 | 33622500 | რელიფი #12 რექ.სუპ. | კოლოფი | 4 | 7.9300 | **31.72** |
| 13 | 33632000 | ვურდონი 100მგ #10 სუპ. | კოლოფი | 3 | 6.5200 | **19.56** |
| 14 | 33632000 | ტექსამენი-ლ 20მგ/2მლ ს/ფხ #1 | კოლოფი | 14 | 6.0000 | **84.00** |
| 15 | 33651000 | როცეფინი 1გ | ფლაკონი | 30 | 12.1000 | **363.00** |
| 16 | 33651100 | ცეფამედი 1გ+გამხს. ი/მ | ფლაკონი | 2 | 12.8700 | **25.74** |
| 17 | 33661000 | იმიგრანი 50მგ #6 | კოლოფი | 2 | 14.5000 | **29.00** |
| 18 | 33616000 | ვიგანტოლი(ვიტ D3) ზეთ.ხსნ.10მლ | ფლაკონი | 10 | 2.3500 | **23.50** |
| 19 | 33612000 | ტრიმეტაბოლი 3გ ფხვ 150მლ სუსპ | ფლაკონი | 1 | 12.4900 | **12.49** |
| 20 | 33612000 | შელკალი 150მლ სიროფი | ფლაკონი | 3 | 9.5300 | **28.59** |
| 21 | 33662100 | ოფთაგელი 2.5მგ/გ 10გ(ხელ.ცრემ) | ფლაკონი | 20 | 4.7200 | **94.40** |
| 22 | 33632100 | კლოდიფენი 75მგ 3მლ #5 | ამპულა | 3 | 6.6500 | **19.95** |
| | | | | | | |
| 23 | 33661000 | სედარექსი 4მგ #30 | კოლოფი | 2 | 17.5200 | **35.04** |
| 24 | 33661000 | ფევარინი 100მგ #15 | კოლოფი | 4 | 19.8600 | **79.44** |
| 25 | 33661000 | ტიზერცინი 25მგ 1მლ #10 | კოლოფი | 3 | 7.8100 | **23.43** |
| 26 | 33612000 | მეზიმ ფორტე 10000 ერთ #20 | კოლოფი | 10 | 5.8900 | **58.90** |
| 27 | 33612000 | დუსპატალინი 200მგ #30 | კოლოფი | 1 | 13.2500 | **13.25** |
| 28 | 33612000 | ფლორანორმი #10 | კოლოფი | 20 | 3.6400 | **72.80** |
| 29 | 33612000 | ენტენორმი #20 | კოლოფი | 5 | 5.4300 | **27.15** |
| 30 | 33612000 | ლაქტო-G #10 | კოლოფი | 3 | 7.2400 | **21.72** |
| 31 | 33622000 | ლოზაპი პლიუსი 50/12,5მგ #30 | კოლოფი | 2 | 11.1000 | **22.20** |
| 32 | 33622000 | ვერაპამილი პ/ქ 80მგ #50 | კოლოფი | 2 | 3.1100 | **6.22** |
| 33 | 33622000 | ტორვიტინი 40მგ #20 | კოლოფი | 2 | 13.3400 | **26.68** |
| 34 | 33622000 | სეტეგისი 2მგ #30 | კოლოფი | 2 | 15.9500 | **31.90** |
| 35 | 33622000 | ასპირინი კარდიო 0,1გ #30 | კოლოფი | 2 | 4.1200 | **8.24** |
| 36 | 33622000 | ათეროქსი 10მგ #30 | კოლოფი | 4 | 21.5300 | **86.12** |
| 37 | 33690000 | ინობეკი რეტარდი 40მგ #20 | კოლოფი | 2 | 6.6300 | **13.26** |
| 38 | 33612000 | კალი-ნორმინი 1გ #30 | კოლოფი | 3 | 5.0200 | **15.06** |
| 39 | 33661000 | მექსიბათი 5% 2მლ #10 | კოლოფი | 8 | 21.9600 | **175.68** |
| 40 | 33661000 | კარდიო ფორსი 150მგ #30 | კოლოფი | 2 | 2.1000 | **4.20** |
| 41 | 33622000 | ავეკორი 10მგ #30 | კოლოფი | 2 | 3.3000 | **6.60** |
| 42 | 33622000 | კო-ენალაპრილ H 20/12,5მგ #20 | კოლოფი | 2 | 3.6800 | **7.36** |
| 43 | 33690000 | ზო-20 20მგ #20 | კოლოფი | 5 | 6.0000 | **30.00** |
| 44 | 33622000 | კორვიტოლი 50მგ #50 | კოლოფი | 3 | 5.5000 | **16.50** |
| 45 | 33690000 | როტარიტმილი 200მგ #30 | კოლოფი | 2 | 9.4100 | **18.82** |
| 46 | 33631000 | კონტრაკტუბექსი 20გ ჟელე | ტუბი | 1 | 12.0600 | **12.06** |
| 47 | 33620000 | ფრაგმინი 5000ერთ 0.2მლ #1 | ფლაკონი | 10 | 5.7800 | **57.80** |
| 48 | 33620000 | ვარფარინ-ნიკომედი 2,5მგ #50 | კოლოფი | 1 | 4.4600 | **4.46** |
| 49 | 33690000 | დეპაკინი ხრონო 500მგ #30 | კოლოფი | 2 | 8.9200 | **17.84** |
| 50 | 33690000 | ენზალ D #30 | კოლოფი | 2 | 5.3600 | **10.72** |
| 51 | 33612000 | ხოლუდექსანი 300მგ #20 | კოლოფი | 2 | 23.5900 | **47.18** |
| 52 | 33612000 | [illegible] | ფლაკონი | 1 | 4.5700 | **4.57** |

| N | CPV კოდი | დასახელება | განზ. | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 53 | 33612000 | ესპუმიზანი 40მგ #25 | კოლოფი | 2 | 2.7000 | 5.40 |
| 54 | 33612000 | ბუსკოპანი 10მგ #20 | კოლოფი | 2 | 6.1500 | 12.30 |
| 55 | 33652000 | ეტოპოზიდი(ფიტოზიდი)100მგ/5მლ | კოლოფი | 10 | 6.6000 | 66.00 |
| 56 | 33652000 | ბლეომიცინი(ბემოცინ)15სე ფლ+გამ | ფლაკონი | 6 | 26.6000 | 159.60 |
| 57 | 33652000 | ცისპლატინ (კემოპლატი) 50მგ/100მლ №1 | ფლაკონი | 2 | 10.8700 | 21.74 |
| 58 | 33632000 | ლოქსიდოლი 15მგ/1.5მლ #3 | კოლოფი | 7 | 11.2900 | 79.03 |
| 59 | 33612000 | ულსეპანი 40მგ #20 | კოლოფი | 3 | 17.6200 | 52.86 |
| 60 | 33632000 | მიდოკალმი 150მგ #30 | კოლოფი | 1 | 7.3400 | 7.34 |
| 61 | 33632000 | დიმექსიდი 100მლ ფლ | ფლაკონი | 20 | 2.1700 | 43.40 |
| 62 | 33641000 | სპემანი #100 | კოლოფი | 1 | 8.9300 | 8.93 |
| 63 | 33632000 | კამელოტი 7.5მგ #20 | კოლოფი | 3 | 7.1200 | 21.36 |
| 64 | 33612000 | პოლიჟენი #12 | კოლოფი | 1 | 14.7600 | 14.76 |
| 65 | 33622000 | დეტრალექსი 500მგ #30 | კოლოფი | 3 | 12.2000 | 36.60 |
| 66 | 33612000 | სენადექსინი #10 | კოლოფი | 10 | 0.3300 | 3.30 |
| 67 | 33622000 | ომეგა-3 400მგ #60 | კოლოფი | 1 | 16.2132 | 16.21 |
| 68 | 33641000 | სერპენს უნო 320მგ #30 | კოლოფი | 3 | 10.0700 | 30.21 |
| 69 | 33661000 | ცერებროლიზინი 1მლ #10 | კოლოფი | 2 | 18.9100 | 37.82 |
| 70 | 33641000 | ომნიკი 0.4მგ #30 | კოლოფი | 2 | 31.9200 | 63.84 |
| 71 | 33690000 | მინისებური სხეული 2მლ #10 | კოლოფი | 3 | 8.3200 | 24.96 |
| 72 | 33612000 | როტავიტ როიალი #20 | კოლოფი | 1 | 19.3200 | 19.32 |
| 73 | 33641000 | ადენო-რიცი #60 | კოლოფი | 5 | 15.2000 | 76.00 |
| 74 | 33612000 | სტამიკი 40მგ #28 | კოლოფი | 1 | 22.4900 | 22.49 |
| 75 | 33612000 | ალტაფლორა 4გრ #10 პაკ | კოლოფი | 2 | 22.1840 | 44.37 |
| 76 | 33612000 | კალციუმი+D3 #50 სალეჭი | კოლოფი | 2 | 8.1600 | 16.32 |
| 77 | 33632000 | მიგ 400 #10 | კოლოფი | 10 | 4.2000 | 42.00 |
| 78 | 33621300 | ლაზოლექსი 10% 12გ გელი | ტუბი | 2 | 12.9200 | 25.84 |
| 79 | 33622000 | ცისტონი #100 | კოლოფი | 1 | 13.5000 | 13.50 |
| 80 | 33612000 | ლაქტო G #10 | კოლოფი | 3 | 7.2400 | 21.72 |
| 81 | 33612000 | მეზიმ ფორტე 10000 ერთ.#20 | კოლოფი | 5 | 5.8900 | 29.45 |
| 82 | 33622500 | რელიფი რექ. სუპ.#12 | კოლოფი | 4 | 7.9300 | 31.72 |
| 83 | 33661000 | ფევარინი 100მგ #15 | კოლოფი | 3 | 19.8600 | 59.58 |
| 84 | 33662100 | ემოპროქსი 1% 10მგ/მლ 5მლ თვ/წვ | ფლაკონი | 3 | 6.1200 | 18.36 |
| 85 | 33662100 | სოლკოსერილი ჟელე 10% 20გ | ტუბი | 3 | 6.3500 | 19.05 |
| 86 | 33621100 | დომინალი 0.5% 5მლ თვ.წვ | ფლაკონი | 1 | 8.7500 | 8.75 |
| 87 | 33662100 | ტეტრაციკლინი მალ 1% 10გ თვალ | კოლოფი | 2 | 2.2800 | 4.56 |
| 88 | 33641000 | ტუტუკონი 600მლ ხსნარი | ფლაკონი | 2 | 28.9800 | 57.96 |
| 89 | 33612000 | სპაზმექსი 80მგ/80მგ #20 | კოლოფი | 5 | 17.7800 | 88.90 |
| 90 | 33632000 | დექსალგინი 25მგ #10 | კოლოფი | 2 | 5.8400 | 11.68 |
| 91 | 33651100 | ლევოქსიმედი 500მგ #6 | კოლოფი | 1 | 18.0300 | 18.03 |
| | | ჯამი: | | | | 3,264.53 |

**შემსყიდველი:**

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

გრიგოლ გიორგაძე

**მიმწოდებელი:**

შპს "ავერსი-ფარმა"

ირაკლი ფურცელაძე

საქართველოს სასჯელაღსრულების,
პრობაციისა და იურიდიული დახმარების
საკითხთა სამინისტრო

## ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 24 იანვარი 2013 წელი

მიმწოდებელი: შპს „ავერსი-ფარმა“

ხელშეკრულების № 01/73

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

1. გრიგოლ გიორგაძე
2. ამირან ჯებისაშვილი
3. გივი ქემოკლიძე
4. შალვა ჯულაყიძე
5. გიორგი ფრუიძე

N 01-1966 24/01/2013

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ გრიგოლ გიორგაძეს

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის
ნათია ლანდიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გრიგოლ,

მოგახსენებთ, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #18 დაწესებულებაში მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს ესაჭიროებათ დანართში მითითებული შემდეგი დასახელების და რაოდენობის მედიკამენტები. გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის #2048 განკარგულების საფუძველზე გააფორმოს ხელშეკრულება შ.პ.ს. „ავერსი ფარმა"სთან ზემოთ აღნიშნული მედიკამენტების შესაძენად. შესყიდვის საერთო ღირებულებაა 227,29 ლარი.

დანართი 1 ფურცლად.

პატივისცემით

ნათია ლანდია
დეპარტამენტის უფროსი

| № | დასახელება | რაო-ბა | ერთ.ფასი | ჯამი | დაწესებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ემოპროქსი 1% 10მგ/მლ 5მლ თვ/წვ | 3 | 6.12 | 18.36 | 18 |
| 2 | სოლკოსერილი ჟელე 10% 20გ | 3 | 6.35 | 19.05 | 18 |
| 3 | დომინალი 0.5% 5მლ თვ.წვ | 1 | 8.75 | 8.75 | 18 |
| 4 | ტეტრაციკლინი მალ 1% 10გ თვალ | 2 | 2.28 | 4.56 | 18 |
| 5 | ტუტუკონი 600მლ ხსნარი | 2 | 28.98 | 57.96 | 18 |
| 6 | სპაზმექსი 80მგ/80მგ №20 | 5 | 17.78 | 88.9 | 18 |
| 7 | დექსალგინი 25მგ №10 | 2 | 5.84 | 11.68 | 18 |
| 8 | ლევოქსიმედი 500მგ №6 | 1 | 18.03 | 18.03 | 18 |
| | | | | 227.29 | |

N 01-1398 18/01/2013

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ გრიგოლ გიორგაძეს

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის
ნათია ლანდიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გრიგოლ,

მოგახსენებთ, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #5, #7, #15 და#18 დაწესებულებებში მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს ესაჭიროებათ დანართში მითითებული შემდეგი დასახელების და რაოდენობის მედიკამენტები. გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის #2048 განკარგულების საფუძველზე გააფორმოს ხელშეკრულება შ.პ.ს. „ავერსი ფარმა"სთან ზემოთ აღნიშნული მედიკამენტების შესაძენად. შესყიდვის საერთო ღირებულებაა 1220.24 ლარი.

დანართი 1 ფურცლად.

პატივისცემით

ნათია ლანდია
დეპარტამენტის უფროსი

| № | დასახელება | რაო-ბა | ერთ.ფასი | ჯამი | დაწ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სედარექსი 4მგ №30 | 2 | 17.52 | 35.04 | 7 | |
| 2 | ფევარინი 100მგ №15 | 4 | 19.86 | 79.44 | 7 | |
| 3 | ტიზერცინი 25მგ 1მლ №10 | 3 | 7.81 | 23.43 | 7 | |
| 4 | მეზიმ ფორტე 10000 ერთ №20 | 10 | 5.89 | 58.9 | 18 | |
| 5 | დუსპატალინი 200მგ №30 | 1 | 13.25 | 13.25 | 18 | |
| 6 | ფლორანორმი №10 | 20 | 3.64 | 72.8 | 18 | |
| 7 | ენტენორმი №20 | 5 | 5.43 | 27.15 | 18 | |
| 8 | ლაქტო-G №10 | 3 | 7.24 | 21.72 | 18 | |
| 9 | ლოზაპი პლიუსი 50/12,5მგ №30 | 2 | 11.1 | 22.2 | 5 | |
| 10 | ვერაპამილი ჰ/ქ 80მგ №50 | 2 | 3.11 | 6.22 | 5 | |
| 11 | ტორვიტინი 40მგ №20 | 2 | 13.34 | 26.68 | 5 | |
| 12 | სეტეგისი 2მგ №30 | 2 | 15.95 | 31.9 | 5 | |
| 13 | ასპირინი კარდიო 0,1გ №30 | 2 | 4.12 | 8.24 | 5 | |
| 14 | ათეროქსი 10მგ №30 | 4 | 21.53 | 86.12 | 5 | |
| 15 | ინობეკი რეტარდი 40მგ №20 | 2 | 6.63 | 13.26 | 5 | |
| 16 | კალი-ნორმინი 1გ №30 | 3 | 5.02 | 15.06 | 5 | |
| 17 | მექსიბათი 5% 2მლ №10 | 8 | 21.96 | 175.68 | 5 | |
| 18 | კარდიო ფორსი 150მგ №30 | 2 | 2.1 | 4.2 | 5 | |
| 19 | ავეკორი 10მგ №30 | 2 | 3.3 | 6.6 | 5 | |
| 20 | კო-ენალაპრილ H 20/12,5მგ №20 | 2 | 3.68 | 7.36 | 5 | |
| 21 | ზო-20 20მგ №20 | 5 | 6 | 30 | 5 | |
| 22 | კორვიტოლი 50მგ №50 | 3 | 5.5 | 16.5 | 5 | |
| 23 | როტარიტმილი 200მგ №30 | 2 | 9.41 | 18.82 | 5 | |
| 24 | კონტრაკტუბექსი 20გ ჟელე | 1 | 12.06 | 12.06 | 18 | |
| 25 | ფრაგმინი 5000ერთ 0.2მლ №1 | 10 | 5.78 | 57.8 | 18 | |
| 26 | ვარფარინ-ნიკომედი 2,5მგ №50 | 1 | 4.46 | 4.46 | 18 | |
| 27 | დეპაკინი ხრონო 500მგ №30 | 2 | 8.92 | 17.84 | 15 | |
| 28 | ენზალ D №30 | 2 | 5.36 | 10.72 | 15 | |
| 29 | ხოლუდექსანი 300მგ №20 | 2 | 23.59 | 47.18 | 15 | |
| 30 | დუფალაკი 667გ/ლ 200მლ სიროფი | 1 | 4.57 | 4.57 | 15 | |
| 31 | ესპუმიზანი 40მგ №25 | 2 | 2.7 | 5.4 | 15 | |
| 32 | ბუსკოპანი 10მგ №20 | 2 | 6.15 | 12.3 | 15 | |
| 33 | ეტოპოზიდი(ფიტოზიდი)100მგ/5მლ | 10 | 6.6 | 66 | 18 | |
| 34 | ბლეომიცინი(ბემოცინ)15სე ფლ+გამ | 6 | 26.6 | 159.6 | 18 | |
| 35 | ცისპლატინ(კემოპლატი) 50მგ/100მლ №1 | 2 | 10.87 | 21.74 | 18 | |
| | | | | 1220.24 | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

N 01-1978 24/01/2013

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ გრიგოლ გიორგაძეს

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის
ნათია ლანდიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გრიგოლ,

მოგახსენებთ, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #1, #5, #6 და#18 დაწესებულებებში მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს ესაჭიროებათ დანართში მითითებული შემდეგი დასახელების და რაოდენობის მედიკამენტები. გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის #2048 განკარგულების საფუძველზე გააფორმოს ხელშეკრულება შ.პ.ს. „ავერსი ფარმა"სთან ზემოთ აღნიშნული მედიკამენტების შესაძენად. შესყიდვის საერთო ღირებულებაა 974,07 ლარი.

დანართი 1 ფურცლად.

პატივისცემით

ნათია ლანდია
დეპარტამენტის უფროსი

| № | დასახელება | რაო-ბა | ერთ.ფასი | ჯამი | დაწესებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დოქსიჰემი 500მგ №30 | 1 | 5.43 | 5.43 | 18 |
| 2 | დეკარისი 150მგ №1 | 12 | 2.25 | 27 | 18 |
| 3 | სტატიკორი 10მგ №30 | 3 | 9.3 | 27.9 | 6 |
| 4 | ცისტონი №100 | 1 | 13.5 | 13.5 | 1 |
| 5 | ნექსიუმი 40მგ №14 | 2 | 15.29 | 30.58 | 18 |
| 6 | ლაზოლექსი 10% 12გ გელი | 2 | 12.92 | 25.84 | 18 |
| 7 | ლაკალუტი აქტივი 300მლ სავლები | 1 | 6.21 | 6.21 | 18 |
| 8 | ჰეპატო-რიცი №50 | 3 | 15.6 | 46.8 | 18 |
| 9 | ნიზორალი 2% 15გ კრემი | 1 | 7.42 | 7.42 | 18 |
| 10 | ფოსფოლუგელი 16გ №20 პაკეტი | 5 | 8.62 | 43.1 | 18 |
| 11 | ბრილიუმ ლინგვატაბსი №20 | 2 | 4.17 | 8.34 | 18 |
| 12 | რელიფი №12 რექ.სუპ. | 4 | 7.93 | 31.72 | 18 |
| 13 | ვურდონი 100მგ №10 სუპ. | 3 | 6.52 | 19.56 | 18 |
| 14 | ტექსამენი-ლ 20მგ/2მლ ს/ფხ №1 | 14 | 6 | 84 | 18 |
| 15 | როცეფინი 1გ | 30 | 12.1 | 363 | 5 |
| 16 | ცეფამედი 1გ+გამხს. ი/მ | 2 | 12.87 | 25.74 | 5 |
| 17 | იმიგრანი 50მგ №6 | 2 | 14.5 | 29 | 5 |
| 18 | ვიგანტოლი(ვიტ D3) ზეთ.ხსნ.10მლ | 10 | 2.35 | 23.5 | 5 |
| 19 | ტრიმეტაბოლი 3გ ფხვ 150მლ სუსპ | 1 | 12.49 | 12.49 | 5 |
| 20 | შელკალი 150მლ სიროფი | 3 | 9.53 | 28.59 | 5 |
| 21 | ოფთაგელი 2.5მგ/გ 10გ(ხელ.ცრემ) | 20 | 4.72 | 94.4 | 5 |
| 22 | კლოდიფენი 75მგ 3მლ №5 | 3 | 6.65 | 19.95 | 5 |
| | | | | 974.07 | |

N 01-1980 24/01/2013

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ გრიგოლ გიორგაძეს

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის
ნათია ლანდიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გრიგოლ,

მოგახსენებთ, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #6, #9, #12 და#18 დაწესებულებებში მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს ესაჭიროებათ დანართში მითითებული შემდეგი დასახელების და რაოდენობის მედიკამენტები. გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის #2048 განკარგულების საფუძველზე გააფორმოს ხელშეკრულება შ.პ.ს. „ავერსი ფარმა"სთან ზემოთ აღნიშნული მედიკამენტების შესაძენად. შესყიდვის საერთო ღირებულებაა 842,931 ლარი.

დანართი 1 ფურცლად.

პატივისცემით

ნათია ლანდია
დეპარტამენტის უფროსი

| № | დასახელება | რაო-ბა | ერთ.ფასი | ჯამი | დაწესებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლოქსიდოლი 15მგ/1.5მლ №3 | 7 | 11.29 | 79.03 | 18 |
| 2 | ულსეპანი 40მგ №20 | 3 | 17.62 | 52.86 | 18 |
| 3 | მიდოკალმი 150მგ №30 | 1 | 7.34 | 7.34 | 18 |
| 4 | დიმექსიდი 100მლ ფლ | 20 | 2.17 | 43.4 | 18 |
| 5 | სპემანი №100 | 1 | 8.93 | 8.93 | 6 |
| 6 | კამელოტი 7.5მგ №20 | 3 | 7.12 | 21.36 | 18-2. 6-1. |
| 7 | პოლიჟენი №12 | 1 | 14.76 | 14.76 | 6 |
| 8 | დეტრალექსი 500მგ №30 | 3 | 12.2 | 36.6 | 6 |
| 9 | სენადექსინი №10 | 10 | 0.33 | 3.3 | 6 |
| 10 | ომეგა-3 400მგ №60 | 1 | 16.2132 | 16.2132 | 9 |
| 11 | სერპენს უნო 320მგ №30 | 3 | 10.07 | 30.21 | 18 |
| 12 | ცერებროლიზინი 1მლ №10 | 2 | 18.91 | 37.82 | 12 |
| 13 | ომნიკი 0.4მგ №30 | 2 | 31.92 | 63.84 | 12 |
| 14 | მინისებური სხეული 2მლ №10 | 3 | 8.32 | 24.96 | 12 |
| 15 | როტავიტ როიალი №20 | 1 | 19.32 | 19.32 | 18 |
| 16 | ადენო-რიცი №60 | 5 | 15.2 | 76 | 18 |
| 17 | სტამიკი 40მგ №28 | 1 | 22.49 | 22.49 | 18 |
| 18 | ალტაფლორა 4გრ №10 პაკ | 2 | 22.184 | 44.368 | 18 |
| 19 | კალციუმი+D3 №50 სადეჭი | 2 | 8.16 | 16.32 | 18 |
| 20 | მიგ 400 №10 | 10 | 4.2 | 42 | 18 |
| 21 | ლაზოლექსი 10% 12გ გელი | 2 | 12.92 | 25.84 | 18 |
| 22 | ცისტონი №100 | 1 | 13.5 | 13.5 | 18 |
| 23 | ლაქტო G №10 | 3 | 7.24 | 21.72 | 6 |
| 24 | მეზიმ ფორტე 10000 ერთ.№20 | 5 | 5.89 | 29.45 | 6 |
| 25 | რელიფი რექ. სუპ.№12 | 4 | 7.93 | 31.72 | 6 |
| 26 | ფევარინი 100მგ №15 | 3 | 19.86 | 59.58 | 9 |
| | | | | 842.931 | |

# საქართველოს მთავრობის

# განკარგულება

№2048 2012 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

**საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ბავშვთა კვებისა და მოვლის საშუალებების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სასჯელ-აღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამისათვის „ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში" გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში (პროგრამული კოდი - 27 04) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საქონლის, სამ წლამდე ასაკის ბავშვთა კვებისა და მოვლის საშუალებების სახელმწიფო შესყიდვა ჯამში არაუმეტეს 20 000 ლარის ოდენობით.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი